

# საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრეზენტაცია: რა იცის საქართველოს მოსახლეობამ თავისი ჯანდაცვის უფლებების შესახებ

4 აპრილი 2014

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაასრულა საზოგადოებრივი აზრის მასშტაბური კვლევა, რომელმაც ჯანდაცვასთან, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზღვევასთან, დაკავშირებული მოსახლეობის განწყობების და მზაობის ძალიან საინტერესო და, არაერთ შემთხვევაში, მოლოდინების საწინააღმდეგო შედეგები აჩვენა.

## კვლევის ძირითადი მიგნებები:

**ქვეყანაში ჯანდაცვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად საყოველთაო ჯანდაცვის და დარჩენილი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის შესახებ გაუთვითცნობიერებლობა რჩება:**

- მიუხედავად იმისა, რომ 2013წ. 28 თებერვლის შემდეგ, როცა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დაიწყო, საქართველოში აღარ დარჩა სრული თუ მინიმალური პაკეტით დაუზღვეველი ადამიანი, გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 18%-მა არ იცის, რომ დაზღვეულია, რაც, შესაბამისი ანალიზით, ნიშნავს, რომ ქვეყანაში დაახლოებით 490,000-დან 680,000-მდე ადამიანმა არ იცის, რომ დაზღვეულია. მოსახლეობის არაინფორმირებულობაზე ჩვენი სოციოლოგიური კვლევის ამ მთავარ მიგნებას ამაგრებს ისიც, რომ 1. 2013წ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საყოველთაო ჯანდაცვაზე და ჯანმრთელობის დაზღვევის 2 სახელმწიფო პროგრამაზე ერთად, ხაზინის დაზუსტებული ინფორმაციით, დაახლოებით 161.2 მილიონი ლარი ვერ დახარჯა, ხოლო დაზღვევის და საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებიდან 35.1 მილიონი ლარი სხვა პროგრამებზე მიმართა(სულ დაახლოებით 196.3 მილიონი ლარი) 2. 2014წ. 1 იანვრის მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის გეგმურ ამბულატორიულ და პოლიკლინიკურ სერვისებზე არ დარეგისტრირდა დაახლოებით 1.3 მილიონი ადამიანი (დაინტერესებულ პირებს მივაწვდით ინფორმაციას თუ როგორ დავთვალეთ დაურეგისტრირებელი მოსარგებლები).
- გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 75% ამბობს, რომ არ იცის, როდის შეუძლია უფასოდ მიიღოს მედიკამენტები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.
- კითხვაზე, პირველ რიგში ვის უნდა მიმართოთ დახმარებისთვის, თუ დაზღვევის პროგრამის ფარგლებში რომელიმე სამკურნალო დაწესებულება სათანადოდ არ ასრულებს დაზღვევის პირობებს, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი ძირითადად სწორად პასუხობს.

## **დაბალია საყოველთაო ჯანდაცვის და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის მიმართ ნდობა:**

- გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან მხოლოდ 17%-ს სჯერა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი სადაზღვევო პაკეტი ნამდვილად მთლიანად დაფარავს მათ სამედიცინო ხარჯებს.
- გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 52% ფიქრობს, რომ მაშინაც კი, თუ მათი ჯანმრთელობა დაზღვეულია სახელმწიფოს მიერ, მათ მაინც მოუწევთ დამატებითი ხარჯების გაღება სამედიცინო მომსახურებისთვის ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადების სახით
- გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 31% ფიქრობს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ახალი პროგრამა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ მათ ხარჯებს არ შეცვლის.

**დამამედებელია, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯანსაღად აფასებს ჯანდაცვაზე როგორც საკუთარ, ისე სახელმწიფოს ფინანსურ პასუხისმგებლობას:**

- გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 47% მზად არის თვეში 1-30 ლარი და მეტი გადაიხადოს ზუსტად ისეთ სამედიცინო დაზღვევაში, როგორიც უნდა. ამ მონაცემის შესაბამისი ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მინიმუმ 1.6 მილიონი ზრდასრული მოქალაქე, იმაზე ოთხჯერ მეტი,

ვიდრე არასახელმწიფო დაზღვევით სარგებლობს, მზად არის საკუთარი ჯანმრთელობის დაზღვევის ფინანსური ტვირთი სახელმწიფოსთან ერთად გაინაწილოს.

#### **წამლებთან დაკავშირებით შემდეგი სიტუაცია გამოიკვეთა:**

- წამლებზე ყოველთვიური დანახარჯები კვლავ მაღალია
- გამოკითხულთა 59% როდესაც წამალს ყიდულობს ყურადღებას აქცევს რომელ ქვეყანაშია წამალი წარმოებული, ხოლო 39% -- არ აქცევს.
- გამოკითხულებს ფარმაცევტული საშუალებების მწარმოებელი ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ნდობა რუსეთის, ხოლო რუსეთის შემდეგ ევროკავშირის მიმართ აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ფარმაცევტული მრეწველობის საერთაშორისო სტანდარტებთან (GMP) შესაბამისობა უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებს.

კვლევის ანგარიშში ვეხებით ჯანდაცვასთან და წამლებთან დაკავშირებულ სხვა არაერთ აქტუალურ საკითხს, რომელთა გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად (იხილეთ: <http://transparency.ge/healthcare-nodes/all>).

#### **რეკომენდაციები:**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- გაცილებით ქმედითი ზომები უნდა მიიღოს იმისთვის, რომ ყველა ბენეფიციარმა იცოდეს იმის შესახებ, რომ დაზღვეულია.
- მოახდინოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირობების შესახებ იმ ბენეფიციართა ინფორმირება ვინც იცის, რომ დაზღვეულია, მაგრამ, არ არის ინფორმირებული ამ პროგრამების პირობების შესახებ.
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით დაადგინოს და აღმოფხვრას ის ფაქტორები, რაც ამცირებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმართ ბენეფიციართა ნდობას
- უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მზად არის საკუთარ ჯანდაცვაზე ფინანსური პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთან ერთად გაინაწილოს. ეს ჯანსაღი მიდგომა კი საქართველოს მთავრობას საშუალებას აძლევს გათანაბრებითი მიდგომა დიფერენცირებული მიდგომით შეცვალოს და გამოთავისუფლებული რესურსი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანდაცვისკენ მიმართოს.